

38.  
3

მ. შ. უიზიანი

ნ. 8° 539



# ბუნება

ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა.

მთავარი საგრაფიბიკო წერილები სამასალოდ.

წერილი I.

ბ-ნ ს. ხუნდაძის „სადიკურატურა ქართულის“ გამო.  
(შესაფალად).

„შენი სიცოცხლე მეყოფის  
„ჩემად იმედად გულისად,  
„გულისა ერთობ წყლულისად  
„და ესრედ დაჩაგრულისად“.

შოთა რუსთაველი.

ბზილისი

ელექტრო-ნებეჭდავი აზხ. „სორაპანი“, მადათოვის კუძეული № 1.

1910

ქართული ენის ეტიმოლოგიის შესახებ  
უკვე დათვალის რ. თაყაიშვილის შრომის ნაშრომი  
თავმჯდომარე  
მისივე ქ. კვიციანი  
გ. მ. 1919  
5339  
5971



# ბ უ ნ ე ბ ა

ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა.

მთლიან საზრუნავად დაწერილი საშასალოდ.

## წერილი I.

ბ-ნ ს. ხუნდაძის „საფიტერატურა ქართულის“ გამო.  
(შესავალად).

„შენი სიცოცხლე მეყოფის  
ჩემად იმედად გულისად,  
გულისა ერთობ წყლულისად  
და ესრედ დანაგრულისად“.

შოთა რუსთაველი.

ბ ზ ი ლ ი ს ი

ელექტრო-მბეჭდავი აზ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული № 1.

1910

### წინასიტყვაობა.

—:—

მთლად გამოცემა ჩემის შრომისა ვერ შევძელ: ჯერ ერთი, რომ ძვირად ჰჯდება, და ერთბაშად ხარჯის გაწევას ვერ მოვაპხერხებდი, მეორე, რომ მცოდნე კაცს ვერავის ვაპწინჯე, მესამე „ის“ არის, რომ ჩემა ხნის კაცი უნდა მოეპლოდეს საბოლოოდ „მოსვენებას“.


ამიტომ განვიჭზრახე მცირე წერილებად ვაპბეკვდინო მასალა, და შემდეგ, უკეთუ ხნიერებამ დამაპცალა, დასრულებული შრომა მთლად გამოვაპქვეყნო.—

ამას წინად ვ. მ. ჰესენი დისერტაციას იპცავდა უნივერსიტეტში და შემდეგი აზრი წარმოპტქვა: როდესაც რომელსამე სამეცნიერო ნაშრომს ფასი ედება, არა მარტო ის არის საყურადღებო, თუ რამდენი განყენებითი კეშმარიტება მოეპოება მას.

ისიც უნდა პფასდებოდეს, თუ რაოდენად აპლვიძებს იგი კვლადს შრომასა იმა კითხვისადა, რომელიც წინუძღვის მიზნად გამოკვლევასაო.

ჩვენი „გრამატიკა“ ენის საკუთარ ბუნებას სუსტად გვიპჩვენებდა, და უკეთუ შევპძელ და ბუნებრივს სახიერებას ჩვენის ენისას, ცოტა არ იყო, სინათლე მოვპფინე, ვიტყვი: „შენდა დიდებად, ჩემო დედა-ენაო“.—

ყოველ შენიშვნას, და მეტადრე, დიხჯ კრიტიკას სრულ ყურადღებით მოვიპსმენ და დიდს მადლობასაც მოვაპხსენებ. ჩემი აღრესი: ტფილისი, აღექსანდრეს ქუჩა, № 56.



მ. ქ. ყიფიანი.

## წინასიტყვაობის შემდეგი.

—:—

აქ შეუცვლელად ვბეჭდავ გასარჩევ მასალად ერთს ნაკვეთს „სალიტერატურო ქართულისას“ (\*), რომელსაც თითქმის მთლად მოვაჰნდომეთ ეს პირველი წერილი.

### ვნებით ბრუნვაში დაბოლოვება თ.

„ვნებითი ბრუნვისა და მისგან ნაწარმოები ზმნისართების დაბოლოვებათ ზოგიერთი მწერალი ღ-ს ხმარობს, ზოგი კი თ-ს.

„ძველ მწერლობაში თ-ს ხმარობდენ შემდეგ სიტყვებში: **ესრეთ, უკეთ, წინათ, აქეთ, ჯერეთ, ეგრეთვე, ანაზღათ, გარეთ** \*\*). „მისრამიანი“ ნახმარია ერთ ადგილას ვნებით ბრუნვათ **დღეთ** (გვ. 58).

„მეთვრამეტე საუკუნის თხზულებებში უფრო ხშირათ შეხედებით თ-ს ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში ღ-ვით ზურამიშვილი ხმარობს: **ეგრეთ, დღით, სწორეთ, გარეთ, რათ, აგრეთვე, ცუდათ, უეცრათ, საქებრათ, რალათ, ანაზღათ, ერთათ, კაცათ, უზომოთ, კარგათ, მწარეთ, და სხე. საბა მრბელიანი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში: ესრეთ, ჯერეთ, ეგრეთვე, სავზლათ, ამხანაგათ, ლუკმათ, ბარათ, ძვათ, უკეთ, მსგავსათ, რათ, ცუდათ, გარეთ და სხ.**

„ჩვენი საუკუნის მწერალნი, განსაკუთრებით უკანასკ-

\*) „სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა“. ქუთაისი, 1901. გვ 17 და 18.

\*\*\*) „მისრამიანი“—გვ. 4, 7, 32, 37, 39, 50, 64, 297, 307; „მეფხის-ტყაოსანი“—გვ. 313, 315, და სხ.



ნელ ხანებში, ძლიერ ხშირათ ხმარობენ **თ**-ს ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში. დღეს ამ მართლწერის წარმომადგენელი მეტია, ვიდრე წინააღმდეგის (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ, ზოგიერთი ჩვენი რედაქციების წყალობით, მათი თანამშრომელნიც იძულებული არიან—იმათს მართლ-წერას დამორჩილდნენ). (ისმინეთ, რედაქტორებო! მ. ყ.)

„ვნებით ბრუნვაში **თ**-ის ხმარების წინააღმდეგი პირები თავისი აზრის საბუთათ ამას ამბობენ: ვნებითში რომ **თ** ვიხმაროთ დაბოლოებათ, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში აზრი აირევა, რადგან მხოლოობითის ქვენებითი მრავლობითის მიცემითსა და სხვა ბრუნვებს დაემგზავსებაო. მაგრამ ეს საბუთი არ არის საფუძვლიანი: ყოველ ენას აქვს რამდენიმე ბრუნვა ერთნაირი, მაგრამ აზრი არ არევიათ; ქართულშიც მრავლობითში **ნი**-ზე დაბოლოვებულ სიტყვებს სამი ბრუნვა (ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი) ერთნაირი დაბოლოების აქვს, მაგრამ აზრები არ აგვრევიან, რადგან წინადადებაში ბრუნვები ადვილი გასარჩევია.

„მთი სიტყვით, ყოველი გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში დაბოლოების **ღ**-ის ადვილი **თ**-მა უნდა დაიჭიროს, და ეს ასეც უნდა მომხთარიყო, რადგან ქართული ენა, როგორც ყოველი სხვა ენა, გამოთქმით თანდათან მარტივდება, და **თ** დაბოლოებაში უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე **ღ**.

„შემდეგი სიტყვები ამ კანონიდან უნდა გამოირიცხოს და **ღ**-ით უნდა იხმაროს: მარად, კვალად, ფრიად, მხოლოდ, სრულიად, ყოველად“. ს. ხუნდაძე.

„შენიშვნა. მთელი „სალიტერატურო ქართული ბ. ს. ხუნდაძისა, „ასეთი ენით“ ლ უეჭველობრივ საბუთიანობით არის



სავესე, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამოწერილს ნაკვეთს ვაქვეყნებთ „თითქმის“ მთელს წერილსა და ისიც „ღ“-ის განსამართლებლად, და ამის გამო გზა-და-გზა გამოვჭოქვამთ ზოგიერთს ჩვენს საგრამმატიკო შეხედულობასა.

ბ-ნი ს. ხუნდაძე, მოსისხლე მტერს რო იტყვიან, სწორედ ის არის ღ-ისა ჩვენს განვითარებითს ბრუნვაში ანუ მისს „ენებითში“. ღ-ნის ბუნებრივს კანონიერებას უარ-ჰყოფს, მაგრამ არა ჰჩანს, თუ რა გრამმატიკულს აზრზედ ამყარებს იმა უარყოფასა.

ორივემ თითქო უნდა ვიცოდეთ, რომ ეტიმოლოგიური გამოკვლევა ბუნება-მეტყველებისა ბურთაობა არ არის, რომ იმერეთიდან სილოვანმა ო-ნი კორტოხს გადმოაცილოს ამერეთში ზ ჩვენ აქედან იგივე ო-ნი იმერეთშივე გადავაჩინდრიკოთ.

განა ლინგვისტიკა საზოგადოდ და გრამმატიკა ჩვენის ენისა კერძოდ ისეთივე ბუნებრივი დარგი არ არის ზოგად მეცნიერებისა, როგორც ქიმია, ფიზიოლოგია ან მორფოლოგია? „ასე იყოსო“, რა სათქმელია აქა. ადამიანის სურვილს არ ემორჩილება ბუნება მეტყველებისა, რომელშიაც მეცნიერება ეჭიბებს მხოლოდ მას, რაც არის და როგორც არის.

ამ გზას ვაძღვით ჩვენ და უკეთუ ეს გზა დაგვაჰნახვებს, რომ „გამოკვლევის“ რაიმე არ ჰმართლდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ უარ-ვჰყოფთ იმ რასამე „გამოკვლევისას“.

ჩვენ კი არ უნდა ვუჭვენებდეთ „კანონებს“ ამა თუ იმა ენათქმულებასა, არამედ თვით უნდა მივჭდიოთ მას და ვეჭკითხებოდეთ, გვიპბრძანოს, გვაპმხილოს და შთაგვაჰგონოს შესასწავლად თვისი ბუნებრივი კანონები. აქ არის უმთავრესი განსხვავება ჩვენ-შორის: რაც უჭთქვამს ბ-ნ სილოვ. ხუნდაძეს და რაც გვჭწადია ჩვენ პასუხად მოვაჰხსენოთ იმასვე ამ წერილითა. —

რომელსამე ხანმოკლე მოღვაწეს ან „რედაქტორს“ მოჰწყინდება ჩვენი ლაპარაკი „წერილმანებზედ“, მაგრამ პასუხად უნდა მოვაჰხსენოთ, რომ მეცნიერება ისეთივე გულდასმით და თავმდაბლად აკვირდება წერილმანებსა, როგორც ამ წერილმანებიდან გამოშედევარს სხვილმანსა.

ს. ხუნდაძეს არა მსურს განაპრჩიოს ორი საფრამბატიკო ფორმა ერთმანეთისაგან, **მოქმე-**  
**დებითი**, რომელიც პასუხს იძლევა შემდეგს კითხვებზედ—**რათა? რითა? რათი და რითი?**

და **განვითარებითი**, რომელიც პასუხს მიუძღებს მეორე კითხვებსა—**რადა? რიდა? რადი**  
და **რიდი?**—ეს ორივე ფორმა არის ბუნებრივი დარგი ქართულ გრამატიკისა, და თვალგებზე  
რომ ხელები დავიფაროთ და ვიპძახოთ, „გაჰსწორდეს მთა და ბარიო“—სადაური სწავლება იქნება!

**1. რათა? 2. რადა? 3. რითა? 4. რიდა? 5. რათი? 6. რადი? 7. რითი? 8. რიდი?**

აქათა,	(გა) აქადა,	აქითა,	აქიდა (ნ),	აქათი,	აქადი,	აქითი,	მშკლიდი,
წინათა,	— წინადა,	წინითა,	წინიდა (ნ),	წინათი,	წინადი,	წინითი,	პოლიდი,
დიდათა,	— დიდადა,	დიდითა,	დიდიდა (ნ),	დიდათი,	დიდადი,	დიდითი,	ჰწვიღი,
ცოტათა,	(შეა) ცოტადა,	ცოტითა,	ცოტაიდა(ნ),	ცოტათი,	ცოტადი,	— —	პხიდი,
ცუდათა,	(გაა) ცუდადა,	ცუდითა,	ცუდიდა (ნ),	ცუდათი,	ცუდადი,	ცუდითი,	პლოდი,
უცებათა,	— უცებადა,	უცებითა,	უცებიდა (ნ),	უცებათი,	უცებადი,	უცებითი,	პკლიდი,
საქებათა,	(შე) საქებადა,	საქებითა,	საქებიდა (ნ).	საქებათი,	საქებადი,	საქებითი,	მაქებიდი,
ერთათა.	(შეი) ერთადა.	ერთითა.	ერთიდა (ნ).	ერთათი.	ერთადი.	ერთითი.	შეერთიდი.

# ბუნებრივი კანონები ქართულ გრამმატიკისა.

(შემუშავებულია 1882/4 წ.)

1. სიტყვათა განვითარება მარტივ ნაცვალსახელებითა.
2. კანონი ბრუნვათა ზედკეცილობისა ანუ სიტყვათა კანკლედობრივი წარმოება.
3. კანკლედობრივი შთამომავლობა უღვლილების ძირითადებისა.
4. კანკლედობისა და უღვლილების ურთიერთობა.
5. ეტიმოლოგიური ჰაზრი „კაცი“-სა.

## ქართული საგრაგმატიკო წერილები.

### წერილი 1.

ბუნებრივი ნიშანი განვითარებით ბრუნვისა „ღ“-ნი არის.

#### ა. საპოლემიკო წერილმანები.

სრულიად უსაფუძვლო მტრობა აუჭტება ბ. ს. ხუნდაძემ საგრაგმატიკო ფორმას, რომელსაც ჩვენ „ძველებურად“ ვუჭვოდებთ განვითარებით ბრუნვად ქართულ კანკლედობაში, ხოლო ბ. ს. ხუნდაძეს კი დაუჭინია „ვნებითი“ ბრუნვაო. როგორც მოგეჭხსენებათ, ამ ფორმას ქართულ სიტყვიერებისას შეცდომით ორ გვარად ჰწერენ: ჩვენ, „ძველები“, ვჭწერთ, — „ცისარტყელაზედ გადახტომით ქალი გარდაიჭკცევა ვაჟაღო და ვაჟი ქალა-ღო, ხოლო „ახლები“ (ქარ. ერ. ისტ. ივ. ჯავახიშვილი, გვ. 46, სტრ. 17, 18 და 19, გამ. 1908 წ.), ბ. ს. ხუნდაძე და მიმდევარნი მისნი „ვაჟა-ღისა და ქალა-ღის“ მაგიერ ჰწერენ, — „ვაჟა-თო და ქალა-თო. „ქრისტე მიგვაჭჩნია ჩვენ ღმერთა-ღაც და კაცა-ღაც“, ჩვენ ვჭწერთ, ხოლო ბ-ნი ს. ხუნდაძე „ტკბილხმოვან“ შეგრულ ენის გავლენის ქვეშ ჰწერს, — „ღმერთა-თაცო და კაცა-თაცო“.

დიდი ხანია ღ-ონს განაჭძიებენ, მაგრამ „პრინციპიალად“ მისი გამაჩანაგებელი ხმამაღლად მხოლოდ ჩემი მეგობარი ს. ხუნდაძეა და ჩემ-ჩუმაღ ბ-ნი თ. ჟორდანიაცა, ამიტომ დღეს ღ-ონის მომხრეობა ადვილი გასაბედი რამ აღარ არის, და დიდი საბუთიანობა და გულდასმით საქმის გარჩევა გვჭჭირია.

ნუ იტყვით, ეს საქმე საქმედ არ ჩაიჭთვლებოდეს: ჩვენ დარწმუნებულნი ვაჭხლავართ, რომ თ-ანის „შემოკვეხებამ“ განვითარებითს ბრუნვაში ფონეტიკური ერთი სიმა-



ხინჯე შემოიტანა ქართულს მწერლობაში და გრამმატიკის ერთოდენი უვიცობის ბეჭედი დააჰსვა მართლწერასა. —

მოგეჰსენებათ, სალიტერატურო ენა ყოველთვის და ყველგან საჭხლოებს მის ქვემდებარე ენა-კილოკავებიტა; ხოლო ამ „კილოკავებს“ არას დროს არა აჰქვსთ ნება მეტოქეობა გაუჰწიონ მას მწერლობაში. გერმანელები, მაგალითად, ბევრს „კილოკავებზედ“ ლაპარაკობენ ალაგ-ალაგ ერთმანეთში, ოჯახში, ხოლო არავის მათგანს ფიქრადაც არ მოუვა „პლათდეიჩ“, Plattdeutsch, თუ „ალლემანური“, allemanische, საშინაო კილოთი სალიტერატურო ენას, „ჰოჰდეიჩს“, Hochdeutsch, შეედაროს, რადგან ყოველ გერმანელისათვის ლუტერის, ბოეთეს და შილლერის ენა წმიდათა-წმიდაა და არასგზით არ გაჰბედავს რომლისამე თავის „რაკრაკის“ შემოღებასა ლიტერატურაში. განა არა, გერმანელს თავის ალლემანური თუ „პლათდეიჩი“ ისე უჰყვარს, როგორც ერთი წვერთაგანი თავის ოჯახისა, მაგრამ შაინც ბეჯითად იტყვის, ყველა კილოკავები ენაცვალოს ჩვენს ლუტერის, ლესინგის, ბოეტეს, და შილლერის ენასაო!

ქართველების ერთად-ერთი სალიტერატურო ენაც, ენა რუსთაველისა, ბარათაშვილისა, შავჭავჭავაძისა და წერეთლისა, საერთო განძია ჩვენ ყველასი განურჩევლად—სვანისა, ლაზისა, მეგრელისა და აქარა-იმერ-ამერლებისა, თუ ფშავ-ხევსურ-მოხევე-ინგილოთა: ყველას ღვაწლია და ყველას წმიდათა-წმიდაა.

ღ-ონის მაგიერ „თ-ათანის“ შემოღება პირველად გაავარჯიშა თავის აზროვან „კრებულში“ დიდმა მოღვაწემ ქართულშიც ბ-მა ნ. ნიკოლაძემ და განსვენებულმა პატრიოტმა ბ. მ. წერეთელმა, თუ არა ვსცდებით. მასაქეთია გაჰთამამდა თ-ნი განვითარებითში და დაიჩაგრა ღ-ნი უფრო მონაბერ, „ნიავითა“, ვითომდა ასეთი უარყოფა ღ-ონისა მოასწავებდა არა ფრანკტიკურს სიმახინჯესა და თეძოჩაყარდნილობასა, არამედ

„ტკბილხმოვანებასა“, და კიდევ... ვითომდა „ქართულ ენის თანდათან მარტივობასა!“

თ-ანის გათამამება განვითარებითს ბრუნვაში გარდამავალ შემთხვევად მიგვაჩნდა სალიტერატურო ენის ვითარებაში 1901 წლამდინ, როდესაც პირველად დაიბეჭდა ს ხუნდაძის „გამოკვლევა“ „სალიტერატურო ქართული“.

ისტორიული მსვლელობა ცხოვრებისა საზოგადოდ თვით ფაქტების ასეთს თუ ისეთს ცვალებადობით ჰხდებდა; დღეს, მაგალითად, რომ სამეცნიერო ჰაზრია ცოტად გამარჯვებული, ხვალ უფიცობა იპქერს ღლად მისს ალაგსა, და გონება კი ერთდება უნიადაგო სითამამესა, მაგრამ ამასთან არ ჰკარგავს იმედსა, რომ მომავალი მაინც მისია. ამიტომ საფიქრებელი იყო „დღესე თუ ხვალე“ „თ“-ნის გრამმატიკული სიმახინჯე საბოლოოდ „გაიშვებოდა“ განვითარებით ბრუნვიდან, მაგრამ ეს იმედი მოგვიწამლა „სალიტერატურო ქართულმა“, რომელმაც მხოლოდ ბრძანებით ჰბრძანა, — „ერთი სიტყვითო დ-ნის ადგილი თ-მა უნდა (?) დაიჭიროსო. \*).

ვიცი სახუმარო საქმეს არ ჩავჰდივარ მეთქი, როდესაც დ-ნის მოსარჩლედ გამოვჰდივარ, მაგრამ რაკი მე მგონია, რომ ს. ხუნდაძე არის შემეცდარი, როგორც მას ჰგონია, რომ ჩვენა ვართ შემეცდარნი, უნდა ან თავი გავიტანოთ, ან მომ-ჰკლას გულკეთილმა ახირებამა.

აბა ვნაჰხოთ, რა საბუთებით უარჰყოფენ დ-ონსა განვითარებითს ბრუნვაში.

პირველი საბუთი? — „ზოგი მწერალი დ-ს ჰხმარობს, ზოგი კი თ-სო“. მერე რაო? — ეს ხომ იმას მოაჰსწავებს, რომ ან ერთი მწერალია შემეცდარი და ან მეორე; ხოლო ქართული გრამმატიკა კი ბუნებრივი სიბრძნეა ენისა, და იგი დაჰდებს მსჯავრსა თ-ანის უადგილობასა ხსენებულს ბრუნვაში.

\*), „სალიტერატ. ქართული 1901 წ. ს. ხუნდაძი. გვ. 17. ვნებოთ ბრუნვაში დაბოლოება (?) თ“.

მეორე საბუთი?—„ძველი მწერლები **თ-ნს** ხმარობენ შემდეგ სიტყვებშიო, — „ესრეთ, უკეთ და სხვა“. ახა—ვაითა! თითქოს **თ-ანის** იდეოლოგს ჰგონია, რომ ფორმები „ესრეთ“, „უკეთ“ „და სხვა“ არიან განვითარებითის \*) და არა მოქმედებით ბრუნვის?! ან იქნება არ დაუპბრუნებია ეს სიტყვები?

აი, ჩემო ბატონო, ჩვენ **ღ-ონის** მომხრენი როგორ ვაპბრუნებთ: წრფ. **ესრე**, ნათ. **ესრეს**, მიც. **ესრეს**, მოთხრ. **ესრემან**, მოქმ. **ესრე-თ**, (ი, ა) განვ. **ესრე-დ** (ა, ი) და წოდ. **ესრეო!** ხოლო „უკეთ“, — უკეთესი, მოკეთე, აკეთე, უკეთილმსახურესი და სხვა სიკეთე როგორ დაეწერათ ძველს მწერლებსა თუ არა **თ-ანი**თა? ან ამ სიტყვის შესახებ **ღ-ონს** რა ხელი აქვს, ადამიანო! მაშ, თქვენ რა გეგონათ?

მესამე საბუთი?—ვისრამიანში ნახმარიაო ამ ბრუნვით(?) „დღეთ“ (გვერდი 58-ო). მა როგორა, კაცო?—აბა, დააბრუნეთ ეს სიტყვა და მიჰხედებით... შეცდომასა. ჩვენებურად—დღეთ-დღეთი, მოქმედებითია, როგორც რაფიელ მრისთავის ლექსებში—რილათ: „**რილათი** მოვჰხნა ნაწრეტი, რით ავიპცილო შიმშილი!“

„**რილათ** გავუჰძღვე ქვეყანას, **რილათ** ვაპრჩინო ცოლშილი!“ (თანდილას დარდი).

მეოთხე საბუთი?—ღავით ბურამიშვილი თურმე ჰხმარობს: „ეგრეთ, სწორეთ, გარეთ“ და სხვა. აქაც შესაძლებელია საქმის არევა, რადგან ამ სიტყვებსაც ჩვენ „ღ“-ონელების გრამმატიკით მოქმედებითი სახიერება აქვს.

მეხუთე საბუთი?—„ჩვენი საუკუნის (?) მწერლები, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში (ვაი, ჩვენი ზრალი, ქემ-

\*) რო არავის ეგონას—მე ერთს ბრუნვაზე ვკლავარაკობდე და ბ-ნი ხუნდაძე მეორეზედ, უნდა განვიმეორა, რომ ს. ხუნდაძე ამ ბრუნვას უწოდებს „ვნებითად“ და მე ისევ „ძველებურად“ ამ ბრუნვის წოდებად ვხმარობ „განვითარებითს“. ჩვენს გრამმატიკოსებს თითქმის ყველას ერთი ახალი ტერმინი მაინც მოუგონია გრამმატიკაში, თითქო ამით აზრი რაიმე ეფინებოდეს გრამმატიკასა.

მარტად) ძლიერ ხშირად ხმარობენ **თ-ანსო**. — ამ საბუთზედ მოგახსენებთ: მეტად შემპყვარან — „განსკუთრებით უკანასკნელ ხანებში“!

მეექვსე საბუთი? — „დღეს ამ მართლწერის (!!?) წარმომადგენელი მეტია, ვიდრე წინააღმდეგისო?“ — მე არა მჭგონია მართლა უფრო მეტი იყოს, მაგრამ მაინც არც ესარის საბუთი, რადგან ჩვენდა სამწუხაროდ „უმეტესობა“ ქართველი ერისა არამც თუ გრამმატიკისა, არამედ უბრალო წერაკითხვისაც ვარეშედ არის დარჩენილი დღემდინ, — სადა გვაჰქვს მომზადება საზოგადო? სადა გვაჰქვს თანადი ქართული სკოლა? სადა გვაქვს ჩვენი თავის პატრონობა? და სხვა და სხვა. რა საბუთია, ქრისტიანო, საზოგადოდ და კერძოდ გრამმატიკის შესახებ ჩვენს ბედში მყოფთა „უმეტესობა“! — ჩემი სავალალო არა უმეტესობა არის, არამედ თქვენა ხართ თქვენი „გამოკვლევითა“, რომ გამოსულხართ **თ-ანის** იდეოლოგიად განვითარებითს ბრუნვაში, თორემ უმეტესობისაგან რას უნდა მოვეპოოდეთ ამ საქმეში?

მეშვიდე საბუთი? — „**ღ-ონის** მოსარჩლე პირების ერთად ერთი საბუთი არისო, რომ ჰჩივიან, **თ-ანის** ხმარებით განვითარებით ბრუნვაში მრავლობითი და მხოლოლობითი რიცხვები აგვერევას. დღე, — მრავლობითი — დღეთა, განვითარებითი მხოლოლობითიც — (?) დღეთა“.

ღიალ, ჩვენ რომ ამას ვჰჩივით — ეს საბუთია, რადგან თქვენ თვითონ, **ბ-ნო** სილოვან, არამც თუ მრავლობითი და მხოლოლობითი, არამედ მარტო მხოლოლობითში ერთი ბრუნვა მეორისაგან არ გაგირჩევიათ. „ყოველს ენას აქვს რამდენიმე ბრუნვა **ერთნაირი** (რა ღირსება არის მერე?), მაგრამ აზრი არ არევიათ“, როგორც ქართველებს არ აერევათო.


შე დალოცვილო, ჩვენ ქონებას, სალაროს „გიჰჩივით“, როდესაც კირნახულობას ჩვენსას უარჰყოფთ, თორემ, რაც არა გვაქვს, იმაზე რა გვეთქმის, ვარდა იმისა, რომ ხელი მოვიპნაცვლოთ როგორმე სიღარიბეში. იმ ენებსაც, რომ-

ლებზედაც (?) თქვენ გვითითებთ—ორი ერთი სახის ბრუნ-  
ვები აქვთო,—სხვა რა გაეპყობათ გარდა იმისა, რომ უქონ-  
ლობაში უნდა ხელი მოიპნაცვლონ. თქვენ იმას კი ნუ გვიპ-  
ხნით, როგორ იქცევა ერი იმ შემთხვევაში, როდესაც არ  
მოეძებნება საგრამმატიკო ორი ერთმანეთისაგან კერძოდ  
განმასხვავებელი ფორმა, არამედ ის აგვიპხსენით, რამ გაფიქ-  
რებინათ, რომ გრამმატიკის დაუკითხავად ქართულს ენას  
უჭიანაგებთ ქონებასა?—ქონებას, რომელიც ჰქმნის სხვათა  
შორის—როგორც გიპჩვენებთ ამის შემდეგ—ძირითადს ფორ-  
მებს ეგრედ წოდებულს „ზმნისას!“ ასეთი ხელის-შეხება,  
ქეშმარიტად გასაოცარია.

მე თქვენი პატივმცემელი ვარ, როგორც გულ-წრფელ  
პატრიოტისა, და თქვენ კი, აგერ ოცდა ხუთი წელიწადია,  
ულმობელად ყელსა მჰკრით და დღეს ძლივს მოვიპცალე მარ-  
თლად არ გამოგაქრევინოთ ყელი!—ბოლოს აი თქვენი დას-  
კვნა: ერთი სიტყვით **ღ-ონის ადგილი **თ-მა** უნდა (?) დაი-**  
**ჭიროს** და ეს ასეც უნდა მომხდარიყოვო, რადგან ქარ-  
თული ენა, როგორც უოველი სხვა ენა, გამოთქმით  
თანდათან მარტივდება და **თ** დაბოლოებაში უფრო ადვილი  
გამოსათქმელია, ვიდრე **ღ-ო**. შემდეგ ამისთანა „მოპაზრე-  
ბისა“ თითქო დაისინდისაო, **ღ-ონის** განმადიებელი, ჩვენდა  
სანუგეშოდ, ამბობს: „შემდეგი სიტყვები ამ კანონიდან (!!?)  
უნდა გამოირიცხოს და **ღ-ით** იხმაროსო: „მარად, ფრიად,  
მხოლოდ, სრულიად, ყოველად“. პოეტი შოლსკი (\*) რო არ  
მიჰშველებოდა თავის ცნობილ ლექსით—„შენ გეტრფი მარა-  
დით“ საცოდავს **ღ-სა**, განჰქრებოდა **ღ-ნი** და მასთან ერთად  
განვითარებითი ბრუნვაცა.

**ბ-ნ** ხუნდაძენე წინად **ბ-მა თ**. შორდანიამ ნახევარ იდი-  
ოლოგობა გამოიჩინა **თ-ანისა**.

\*) განსვენებული ნიკიერი პოეტი, სრულად განვითარებული,  
გულწრფელი მოღვაწე, ნამდვილი მკოდნე იყო ქართულის ენისა.  
მ. ყ.



თავის ქარ. გრამმატიკაში. (1889 წ. გვ. 48 § 26; გვ. 2) მხრით განვითარებით ბრუნვის მეხასიათედ ბეჯითად აღიარებულია ღ-ნი, ხოლო მეორეს მხრით (იმა გვერ. 136; § 27, განკარგულება პეტიტი ასოებით ჩუმად შეაპარა მეგრული ტკილი თითინი: „კეთილხმოვანებისთვის და ენის განსაკარგველად და ორქოფობის აღსადგენად **საჭიროა** (თითქო გრამმატიკა „კარაბადინი“ იყოს!) **თ-ანი** დაიდებოდესო“.


შემდეგ ხუნდაძისა ძ. გ. ჯანაშვილმა თავის ქართულ „გრამმატიკაში“ 1906 წ. განვითარებითის ბრუნვის მეხასიათედ დაასახელა მარცვალი—„ათ“-იც. თუმცა არც ბ-ნი მოსე ჯანაშვილი გვიმტკიცებს **თ-ანის** საჭიროებას განვითარებით ბრუნვაში, მაგრამ ამას ის მაინც ამართლებს, რომ მოძმე მეგრული დიალექტი განვითარებით ბრუნვაში **თ-ნით** ლბილდება ღ-ნი, როგორც „**შ**“-არით „**ბ**“-ანიო: ცხენები—ხცენენფიო და სხვა. (ძ. გ. ჯანაშვილი. ქ. გრ. გვერდი 23 § 17. შენ. 1).

რადგანაც ბ-ნ ხუნდაძეს ღ-ონისადმი ჩვენი მოსარჩლეობა სრულიად მცირე ნიავის წასაღებ ბრედ მიაჩნია, ამიტომ მას თავი დავანებოთ და ბატონს ქართულ გრამმატიკას შევეჭკითხოთ საბუთებსა ღ-ნის დასაცველად განვითარებით ბრუნვაში.

**ბ. ძირითადი საბუთები.**

ქართულ სიტყვების წარმოებაში დიდი საყოველთაეო მნიშვნელობა აქვს ჩვენ მარტივ ნაცვალ-სახელებს „ა“-ნს, „ი“-ნს და „ე“-ნს: ა კაცი, ი კაცი, ე კაცი: ა-ქ, ი-ქ, ე-ქ; ა-გ, ი-გ, ე-გ; ა-მერი, ი-მერი; აი კაცი; ა-მ, ი-მ, ე-მ; ა-ს, ი-ს, ე-ს; მ-ა, მ-ი, მ-ე და სხ. ამ მარტივ მაჩვენებლების ფორმულა არის ა + ი = ე: ა-წერა, ი-წერა და ე-წერა; მა-წერა, მი-წერა, მე-წერ-ა და სხვა. ესენი, „ა“-ნი — მანძილ-ახლოდ, „ი“-ნი — მანძილ-შორად და „ე“-ნი — მანძილ-გარეშედ გვი-

583  
F





**ჩვენებენ საგანსა.** ცხადია, რომ მნიშვნელობა ამ მარტივ ნაცვალსახელებისა დიდია ქართულ ეტიმოლოგიაში. ამიტომ არის, რომ აზრს სიტყვის ძირისას ეს ნაცვალ-სახელები თავის შეუღლებით ერთგვარ კილოს და სინონიმობას უცვლიან; და ამასთანავე პირველსახიერებადვე სტოვებენ და არავითარი კანკლედობრივი ცვალეობა არ შეაქვთ სიტყვის ნაწილში. მაგალითად: კაც,\*<sup>\*)</sup> ქალ, ვაჟ, წერ, ცემ, კაცაი, ქალაი, ვაჟაი, წერაი, ცემაი. „რუსულში ქართველ კაც მეუცხოების... აღრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალაი ქალობდის (ი. ქავქ. მგზ. წერ. გვ. 85—08 წ.)

მეორე ალაგას ერი ასე ჰხმარობს ამ სიტყვებსა: კაცა, ქალა, ვაჟა, წერა, ცემა; ან კაცაი, ქალი, ვაჟი, წერი (ნა-), ცემაი (ნა-); ან კაცია, ქალია, ვაჟია, წერია (მი-), ცემია (მი-); ამ სახიერ სახელებადაც იხმარებოდენ: კაცაია, ქალაია, ვაჟაია, წერაია; ეს მეგრულ გვარების ერთი ფორმაა, როგორც — ცომ-ცომია, მელ-მელია-მელია; მგელ-მგელია-მგელია, თომ-თომია-თომია, პატარ-პატარია-პატარაია, წერ-წერია-წერაია; ცემ-ცემია-ცემია და სხვა.

ამ გვარად მარტივი ნაცვლები თავის შერთვით სიტყვების კილოს და სინონიმობას ჰქმნიან: თამარ, თამარა, თამარი, თამარაი, თამარია, თამარაია; თომ, თომა, თომი, თომი, თომია, თომია, თომიაი; ლომ, ლომა, ლომი, ლომი, ლომია, ლომია, ლომიაი; ზურაბ, ზურაბა, ზურაბი, ზურაბაი, ზურაბია, ზურაბაია, ზურაბიაი; ლამაზ, ლამაზა, ლამაზი, ლამაზი, ლამაზია, ლამაზია, ლამაზიაი; ქალ, ქალა, ქალი, ქალაი, ქალია, ქალაია, ქალიაი; წინ, წინა, წინი, წინაი, წინია, წინაია, წინიაი; ცემ, ცემა, ცემი, ცემაი, ცემია, ცემია, ცემიაი; დენ, დენა, დენი, დენაი, დენია, დენაია, დენიაი; წერ, წერა, წერი, წერაი, წერია, წერაია, წერიაი; და ასე თითქმის ყოველს სიტყვას, განვიმეორებ, ამ წარმოებით მხოლოდ კილო და სინონიმობა ეცვლება, სიტყვა პირველ სახიერე-

\*) ახალი ქართ. გრ. დ. ყიფ. 1882 წ. გვერდ 31. „თითქო ეს ასე ყოფილიყოს: ანტონი, კაცი; ან ასე: „ნტონ, კაც“ აქ ბიძა ჩემი ექვში შეხულა, მაგოამ ექვი კრიტიკად აღარ ჰქცევია გაებო, რომ ანტონ, ანტონა, ანტონი და კაც, კაცა, კაცი უველა საფუძვლებია ქართულ კანკლედობისა.

ბისად ჰრჩება, ბრუნვითს ცვალებადობას არ გვიტყუალებს და კანკლედობაში წრფელობითი ბრუნვაა, რომელიც შემდეგ ბრუნვების სახიერებას მიიღებს თანადის მუხასიათე ნიშნების მიღებით: ცომ, ცომს, ცომა-ცომას, ცომი-ცომის და სხვა; ცომია-სი, ცომია-სა, ან ცომი-ცომისი, ცომისა და სხვა. მაშასადამე საბრუნებლად სიტყვისა აიღება ან მხოლოდ ძირი მისი—კაც, ვაჟ, ქალ, წერ, ცემ, რკო, ბუ, ან იგივე შეუღლებულად მარტივ ნაცვლებთან,—ვაჟა, კაცი, ვაჟი-კაცი, ვაჟი, კაცია, ვაჟია და სხვა. ამ სახიერებით სიტყვები საფუძვლებად, ბრუნვების ძირებად შეჭდიან კანკლედობაში. ასეთი საფუძველი კანკლედობისა არის წრფელობითი ბრუნვის ფორმა.

ჩემი საზოგადო სხმა\*) კანკლედობისა.

	I	II	III	IV	V
1. წ. X-	Xა-	Xი-	Xაი-	Xია-	
2. ნ. X-ს(ი)	Xა-ს(ი,ა)	Xი-ს(ი)	Xაი-ს(ი)	Xია-ს(ი)	
3. მ. X-ს(ა)	Xა-ს(ა,ი)	Xი-ს(ა)	Xაი-ს(ა)	Xია-ს(ა)	
4. მ. X-მ(ან)	Xა-მ(ა,ნ)	Xი-მ(ან)	Xაი-მ(ან)	Xია-მ(ან)	
5. მ. X-თ(ა,ი)	Xა-თ(ა,ი)	Xი-თ(ა,ი)	Xაი-თ(ა,ი)	Xია-თ(ა,ი)	
6. გ. X-დ(ა,ი)	Xა-დ(ი,ა)	Xი-დ(ა,ი)	Xაი-დ(ა,ი)	Xია-დ(ი,ა)	
7. წოდ. X-ო	Xა-ო	Xი-ო	Xაი-ო	Xია-ო	

ამ საზოგადო კანკლედობის სხმაში X არის ძირი სიტყვისა და პირველ დარგში (I,1) ამასთანავე საფუძველი კანკლედობისა; 2, ესევე X მარტივ ნაცვლების შეუღლებით აგრედვე საფუძველია კანკლედობისა; 3, ბრუნვების მუხასიათენი არიან თანადად მხოლოდ ს, ს, მ(ან), თ, დ, მ, და არას გზით, როგორც დღემდინ უნალოზოდ ეგონათ ჩვენ გრამატიკოსებს, არა „ის“, „სა“, „ითა“, „ადა“, რადგან ჩვენი ნაცვლები „ა“, „ი“ აქაც მანძილადს თავის ხასიათს

\*) სხმა—სხმა, მე ასე ვხზნარობ და ასეთად ეს სიტყვა ჩემს გონებას უფრო ენათესავენა—„ფორმების ასხმა“.



არ ჰკარგავენ, და ბრუნვებს კი სრულებით არ აშხასიათებენ. დავაბრუნოთ ჩვენი მარტივი ნაცვალსახელები და დავიჰსახავოთ ბრუნვების მეხასიათე ნიშნებსა კერძოდ.

**ბრუნვა მარტივ მაჩვენებელ ნაცვალსახელებისა და სხვებისა.**

1. წ. ა, ი, ე, აი, ია, ვაი,
2. წ. ა-ს-(ი), ი-ს-(ი), ე-ს-(ი), აი-ს(ი), ია-ს(ი), ვაი-ს(ი),
3. მ. ა-ს(ა), ი-ს(ა), ე-ს(ა), აი-ს(ა), ია-ს(ა), ვაი-ს(ა),
4. მთ. ა-მან, ი-მან, ე-მან, აი-მან, ია-მან, ვაი-მან,
5. მქ. ა-თ(ი), ი-თ(ი), ე-თ(ი), აი-თ(ი), ია-თ(ი), ვაი-თ(ი),
6. განვ. ა-დ(ა), ი-დ(ა), ე-დ(ა), აი-დ(ა), ია-დ(ა), ვაი-დ(ა),
7. წ. ა-ო; ი-ო; ე-ო; აი-ო; ია-ო; ვაი-ო.

ჩვენის საზოგადო „სხმისდა“ გვარად, რომლითაც ჩვენ შემოვკრიბეთ ყველა ფორმები, კერძოდ დავაბრუნოთ რომელიმე სიტყვა.

**კანკლედობა სიტყვისა თავ, თავ-ა, თავი.**

**ბრუნვა: I.**

	1.	2.	3.
1. წრფ.	თავ,	თავა,	თავ-ი,
2. ნათ.	თავ-ს(ი),	თავა-ს(ი),	თავი-ს(ი),
3. მიც.	თავ-ს(ა),	თავა-ს(ა),	თავი-ს(ა),
4. მთ.	თავ-მან,	თავა-მან,	თავი-მან,
5. მქ.	თავ-თ(ა,ი),	თავა-თ(ა,ი),	თავი-თ(ა,ი),
6. განვ.	თავ-დ(ა,ი),	თავა-დ(ა,ი),	თავი-დ(ა,ი),
7. წოდ.	თავ-ო,	თავ ა-ო,	თავი-ო.

**II.**

**III.**

1.	2.	3.	1.	2.	3.
თავის,	თავისა,	თავისი,	თავად,	თავადა,	თავადი,
თავის-ს,	თავისა-ს,	თავისი-ს,	თავად-ს,	თავადა-ს,	თავადი-ს,
თავის-ს,	თავისა-ს,	თავისი-ს,	თავად-ს,	თავადა-ს,	თავადი-ს,



თავის-მან, თავისა-მან, თავისი-მან, თავად-მან, თავადა-მან, თავადი-მან,  
 თავის-თ, თავისა-თ, თავისი-თ, თავად-თ, თავადა-თ, თავადი-თ,  
 თავის-დ, თავისა-დ, თავისი-დ, თავად-დ, თავადა-დ, თავადი-დ,  
 თავის-ო, თავისა-ო, თავისი-ო, თავად-ო, თავადა-ო, თავადი-ო,  
 და სხვა და სხვა.

აქ ზედკეცილ ბრუნვის საფუძვლები არიან: I, თავ, თავა, თავი; II, თავის, თავისა, თავისი; III, თავად, თავადა, თავადი. ამ საფუძვლებს ბრუნვებისას, როგორცა ჰქანს, განავითარებენ ძირი სიტყვისა „თავ“ და ჩვენი მანძილად მაჩვენებელი მარტივი ნაცვალსახელები „ბ“-ნი და „ი“-ნი; ხოლო ესრედ განვითარებული ყოველი საფუძველი წრფელობით ბრუნვისა შემდეგს ბრუნვებში ვითარდება კვალად ბრუნვის მეხასიათე ნიშნებით: ს, მან, თ, დ, ო, რომლებიც ანალიზმა გამოიმარტოვა მანძილ მაჩვენებელ „ა“-სა და „ი“-თან შერთულობიდან.

ეს გრამმატიკის დიდებული კანონია, რომელიც მამხილა მე დედა-ენამა, შევიმუშავე 1882 წ. და დავარჯჭვი მას „კანონი ბრუნვათა ზედკეცილებისა“. ამ რთულს კანონს წინუძღვის ძირითადი კანონი სიტყვათა ფორმადობისა მანძილად „ა“ და „ი“ ანუ ა, ი ქე-თი. ამ ორს სადა და ბუნებრივს კანონს მოვანდომებ შემდეგს მეორე საგრამმატიკო წერილსა და სრულიად ცხად ვჰყოფ ამადარს უზომო სიმდიდრეს ქართულ სიტყვათა ეტიმოლოგიურ ფორმადობისას ანუ წარმოებისას.

ვიმეორებ, ჩვენი გრამმატიკოსები არ გამოჰყოფდნენ მარტივ ნაცვალსახელების მოქმედებასა ბრუნვის მეხასიათე ნიშნებისაგან და მათ შვერთებით აჰხასიათებდნენ ბრუნვებსა თვალბედითად, ანალიზ დაუყრელად.

ჩემს საზოგადო სხმას კანკლედობისას აქ აქვს შნ, ხოლო



მაგალითსა ნჰ ფორმა, და შემოიპყრებს ყველა ფორმებს კლედობისას. ზედკეცილობის კანონით (მეორე წერილში ამის დიდს მნიშვნელობას ცხადად დავინაჰხავთ), მაგალითად, ფორმა ნათესაობითის ბრუნვისა (III, 2), რომლის ფორმულა არის Xი-ს-ი, გვიჰჩვენებს წარმოებას მრავალ ქართულ სახელებისას: შინდი-ს-ი, ხრეი-სი, რუი-სი, ტფილი-სი, ქუთაი-სი, დეი-სი, ფხვენი-სი და სხვა. ან ფორმა კაცაისი, რომელიც მოხვევთა კილოს გვეუბნება, და სხვა.

როდესაც ჩვენი მარტივ შორმანძილადი ნაცვალის „ი“-ნი ბოლოში წაებმის ნათესაობითს, მოქმედებითს ან განვითარებითს ბრუნვას, მაშინ კილოს და სინონიმობას კვალად უპცვლის სიტყვის საფუძველს: ტფილი, ტფილი-ს-ი, ტფილისი-ს-ი; რუი-ს-ი, რუი-ს-ი-სი; წრფელობით, წრფელობითი, წრფელობითი-ს-ი; პურა-დ, პურად-ი, პურა-დ-ი-ს-ი; თვალა-დ, თვალა-დ-ი, თველა-დ-ი-ს-ი და სხვა.

ახლა, ავილოთ განვითარებითი ფორმა კანკლედობისა, და ეს ბრუნვა „ჩვენი“ ლ-ონით მოვიყვანოთ, შემდეგ ი-ნ-ზედ დავაჰბოლოვოთ, გავჰსინჯოთ თ-ანთან შედარებით და შევიგნოთ, რომელია განვითარებით ბრუნვაში ძალად ჩაკვეხებული და შემოთრეული ნიშანი—ლ-ონი თუ თ-ანი? რომელი მათგანია ამ ბრუნვის ფორმაში ძროხაზე უნაგირსავით უშნო?

**„განვითარებითი“ ბრუნვის ფორმები.**

მამი-თ-ა, მამითა-ლ, მამითა-ლ-ი, და არას-გზით—მამითათი; გულა-გულა-ლ, გულა-ლ(ა,ი) და არ ითქმის გულა-თიო; კაცა—კაცა-ლ, კაცა-ლ-ი, არ ითქმის კაცა-თიო; ზე, ზედ(ა), განვითარებითია, სულ სხვა არის ზე-თი (ზეითი), მეფე-მეფე-ლ, მეფე-ლ-ი, არ ითქმის—მოქმედებითია—მეფეთი (ვაი შენ და ფეთიო!); ჩვენ ჰვეწერთ მეფე-ლი, ხოლო „ახლები“—„მეფეთი“—(მოქმედებითია); პურა, პურად,



პურადი,—ხოლო თქვენ „დეიჯინეთ“ ამის მაგიერ უნდა  
 „პურაძი“; სულა, სულა-დ, სულა-დ-ი,—თქვენ კი „ბოვ-  
 შებს(!) \*) აწერინებთ—სულაძიო? უცება, უცება-დ, უცე-  
 ბა-დ-ი,—რად დაამახინჯეთ—„უცებაძი“-ო; ტანა—ტანა-დ,  
 ტანა-დ-ი, წვად, წვა-დ-ი,—ამის მაგიერ ვინ დასწერს—„წვა-  
 ძიო“-; დღე—დღე-და, დღედ-ი,—სხვაა დღეძი ან დე-  
 ლეძი (მოქმედებითა); ქვეყანა, ქვეყანა-დ, ქვეყანა-დ-ი, და  
 არა „ქვეყანათი“, მოქმედებითა; მორჩილა—მორჩილა-დ,  
 მორჩილა-დ-ი, და არა მორჩილათი: რომლით? —მორჩილათი;  
 მესამე, მეხუთე, მეათე—მესამედ-ი, მეხუთედ-ი, მეათედ-ი,  
 და არა მესამეთი, მეხუთეთი, მეათეთი, რადგან ყველა მიჰხვ-  
 დება, რომ აქ განვითარებით \*\*) უორმის მაგიერ ვიჰხმარდით  
 მოქმედებითს ბრუნვას.

\*) ესეც ახირებული დაჟინება-„ბოვში“ ან ბავ-ში?!—ცხადი სიმახინჯეა.  
 და აი „რაიზა“: თქვენი „მართლწერით“ კი:

- |                  |             |
|------------------|-------------|
| გვა—სახლს ვ-გვი, | ვ-გ-ი,      |
| სვა—დო ვ-სვ-ი,   | ვ-ს-ი,      |
| შვა—ბა ვ-შვ-ი,   | ბა ვ-ში?!,  |
| ცვა—ჩა-ვი-ცვ-ი,  | ჩა-ვი-ც-ი,  |
| წვა—ხე ვ-წვ-ი,   | შეშა ვ-წ-ი, |
| ღშვა—ვი-ღშვი,    | ვი-ღშ-ი,    |
| ღრჩვა—ვი-ღრჩვი;  | ვი-ღრჩ-ი.   |

ბ. ს. ხუნდაძის ქართ. გრამატიკაში შეუსაბამო „ბავში“ ორ-  
 მოცუვრ მეტი დავითვალე. ერთხელ დაუწერია ქრისტიანულად „ბავში“-ო  
 153-ს გვერდზე, და ისიც გაუსწოვებია ურჯულოდ: უნდა იყოს „ბა-  
 ვში“. დაჟინება მეტი შეიძლება? ეს არას „სმენა და გემოვნება“?!

\*\*) ფრანსიელ მეცნიერს და რუსეთში აკადემიკოსს M. Brosset-ს  
 თავისს Grammaire georgienne-ში მოჰყავს მრავალი მაგალითი ამ  
 ბრუნვის სახიერებისა; „შემთხვევად იესოსი; იესო აღმოიყვინა უდაბ-  
 ნოდ; ბამოცდად ეშმაკისაგან; დაჰსჯა მეფედ; ძალად ლომსა, თვალად  
 მხესა, ტანად ვგვანდი ედგმა ზრდილსა; ყოფად აოს; გამჩივებად არს;  
 ხრწნადი—corruptible; დლითი—დღედი (დღეთი სულ სხვაა მ. ყ.)—  
 მესამედი (მესამეთი სულ სხვაა. d. ყ.)—tiers; მეოთხედი  
 (მეოთხეთი სულ სხვაა მ. ყ.) კაცად —კაცადი; ფერად-ფერა-  
 დი; წლითი-წლადი; დ, ა-დ, ისად. ისადმდე, კაცისად; ცნობისად მე  
 ღრამმატიკისა; დღე ღმდე; (დღეთმაც სულ სხვაა. მ.ყ.); ხრწნად—ხრწ-  
 ნადი; სიკვდილად; ტაძრად; რუდ და სხვა.

ეს მაგალითები პარიზში ჩაუწერია ფრანსიელს ფრანსიულს ტექს-  
 ტში და დღეს ეს განძი განძად აღარ მიიჩნიათ „ახალ მწერლებს“, ფუ-  
 ჰა რეფორმატორებს! მ. ყ.



კარგად ვიცი, რომ ასეთი არეულად ხმარება ერთი ფორმისა მეორეს მაგიერ აიჭხსნება მხოლოდ ანალიზის დაუყრელობით და არა განზრახ, მაგრამ მაინც საქმე მოიჭთხოვს სასტიკს მსჯელობასა, და განვაგრძობ: მორწმუნე კაცი არ მოგცემთ ნებას მისს საკურთხეველში კადნიერად და აბუჩად შესვლისას და არც თქვენ უნდა შეჭბრძანდეთ.

თითქო მოხსენებული მაგალითები საკმაო უნდა ყოფილიყო—დაუძინებელი მტერიც გავვეჯერებინა საბუთებითა, რომ განვითარებითს ბრუნვის მებასიათედ იყო, არის და იქნება ბეჯითად „დ“-ნი, და არას გზით არა ტკბილ-შაქარა „თ“-ნი, რომელსაც, თუ თავის ქერქში დააყენებთ, მოქმედებითი ბრუნვაც ეყოფა სახასიათოდ, მაგრამ სულ ეს ბ. ხუნდაძის არ მიაჩნია შესაწყნარებელ საბუთებადა.

არა ქონას რა გაეწყობა, ხოლო ქონების გადაყრა შესაწყნარე ბელარ არის მეთქი, მოგახსენეთ. დიდებული ქონება არის ბუნება საზოგადოდ და კერძოდ მისი ერთი დარგი ადამიანის ენა და კანონების სალარო მისი—გრამმატიკა. რაკი გვაჭქვს განვითარებით ბრუნვის განმასხვავებელი და გამომარკვეველი ნიშანი, რად განვაძიოთ და გავასაწყლოდ ან შევეუდომხალოთ იგი მოქმედებით ბრუნვის ნიშანსა—**თ**-ანსა. რადაო, ბატონო, რადაო!.. განა მოველოდით ასეთს „სამეცნიერო“ საქციელს ბ-ნ ს. ხუნდაძის მიერ, რომელსაც თავისი ენა ძლიერ უყვარს, ან თ. უორდანიასაგან, რომელსაც დიდი სალიტერატურო კირნახული აქვს შემოტანილი, და **დ**-ონს კი განვითარებითს ბრუნვაში ხრ-იკი და კვანტი გამოჰყრა „პეტიტა“ ასოცბითა.

მაგრამ „ცარიელი“ მოსაზრებით ჯიუტ იდიოლოგებთან ვერას გავაწყობთ და ისევ სჯობს, შენ ჩემი ხარ ბატონი, ქართული ბუნება ძლიერი გრამმატიკა მოვიშველიოთ.

### კანკლედობისა და უღვლილების ურთიერთობა.

სწორედ ღირსშესანიშნავია, რომ ჩვენი გრამმატიკოსები სახელ-ზმნას (verba) ანუ სახელს მოქმედებისას და მდგო-



მარეობისას არ აპყარებენ კანკლედობასა, სრულებით არას აპმობენ „ზმნის“ ბრუნვა-კანკლედობაზედ, და ამის მიზეზი, — გავჰკადნიერდები და ვიტყვი, — ის იპყო, რომ გონება რომლისამე უცხო ენის გრამმატიკით ჰქონდათ შეპყრობილი.

უცხო გვაროვან კანონებს ეჰძებდენ ჩვენს ენაში; თავისუფალ მკვლეველობით არ აპყვირდებოდნენ ჩვენს გრამმატიკის ბუნებრივს ვითარებასა. —

ისტორიის დიდს მანძილზედ საგრამმატიკო შრომაში დიდებულ პნტონ კათოლიკოსიდან მოყოლებული ჩვენი დროის გრამმატიკოსებამდინ მიბაძვას დიდი ალაგი ექირა.

აიღებდნენ რომელსამე უცხო ენის გრამმატიკასა და მის ყალიბზედ ჰკდილობდენ ქართულ „გრამმატიკის“ ჩამოსხმასა. განა არა, ჰპოებდნენ ერთობასა, რადგან ყოველი ენა ენას ჰგავს, რადგან ყოველი კაცი ადამიანი არის, და მისი ფსიხოლოგია, ეთნოგრაფია, ენამეტყველება და თითქმის ყოველივე არსებობა მისი უპირველესად ადამიანებრივია, ერთს ანთროპოლოგიურს ზოგადს საძირკველზედ არის დამყარებული.

მაგრამ რომლისამე ენის სამეცნიერო კვლევას და საზოგადოდ ვონების პოზიტივს მოქმედებას ეს ზოგადი სარჩული თითქმის არაფერს ჰშველის, რადგან, მაგალითად ჩვენს გრამმატიკის შემუშავებაში, თითონ ქართული ენა უნდა იყოს და არის იმფენომენად, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან გვაჰხილოს თავისი აგებულება, საკუთარი შენობა და ჩუქურთმები. როგორ ვიტყვი რასმე წინააღმდეგ შედარებით მეთოდისა, მაგრამ მაინც მხოლოდ თითონ ენას შეუძლიან, მეთქი, გვიჰჩვენოს ის კანონები, რომელნიც ეჰმსახურებიან იმადარსულის, გულის, აზრის, გონების და მის მთლად რეალურ ფსიხიკის გამოთქმასა. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ არც ენათა ფერადობა ჩამოუვარდებოდა კაცობრიობასა. ამიტომ კაცობრი-



ობის ენათა გადადნობა ერთ საკოსმოსო ენად მწვალელობად მიმაჩნია, თუნდ დაუსრულებელ საბოლოო-დაც, როგორც, მაგალ. მცენარეთა შევიბრიდება ერთ რა-ღაც ზოგად მცენარედ. მეცნიერების გარეშედი ბოდვა არის მხოლოდ ასეთი წადილიცა და სურვილიცა.

აქაოდა, რუსულს, ფრანსიულს თუ გერმანულს გრამა-ტიკებში ზმნა გამოჩანდაკებულია, ჩამოკრისტალეებულია გა-ნუსაზღვრელს \*) ფორმებად, გაჰთავდა, ზმნის შესახებ ფიქ-რადაც არ მოჰდიოდათ, რომ შესაძლებელი ჰყოფილიყო კანკლედობრივი ცვალებადობა ქართულ „ზმნისა“; რადგან ევროპიული სიტყვები—*любить, amare, aimer, to love, lieben* ჰცვალებადობენ მხოლოდ „უღვლილებითა“ და არას გზით არა ბრუნვა-კანკლედობითა.—

ფსიხოლოგიამ იცის, უკეთუ აღამიანი ერთხელ დაადგა მიბაძვის გზასა, უეჭველად ცოტად თუ ბევრად საკუთარი შემოქმედობა უჰსუსტდება და ხშირად დამმონებელ აზრის სახედარად ჰხდება.

დიდებული ძალა არის ასეთი გაბატონებული „აზრი“, მაგრამ კაცის პირადობას, მისს საკუთარს საბიერებას ისე ხელმძიდროდ იმონებს, რამ ადვილად ველარ შეუჰძლიან თავის დაღწევა.

ჩვენს გრამმატიკოსებსაც,—ბოდიში მომიხდია,—ცოტად თუ ბევრად ესევე ემართებოდათ.

იმ უცხო ენებში არსებითს სახელს თავისი საკუთარი ფორმადობა აქვს და „ზმნას“ კიდევ თავისი, კერძოდ საკუ-თარი, და ამიტომ ქართულშიც ამაღარს განკერძოებას ეჰძებ-დნენ და დიდი შრომაც მიუძღვით, მაგრამ—გავჰხედავ და ვიჰ-ტყი—ცოტა არ იყოს, მწვალელობდნენ.

\*) გერმანული განუსაზღვრელი ფორმა ზმნისა ჰბრუნავს, როგორც ჩვენი სახელზმნ., ხოლო იგი კანკლედობრივი ბრუნვა არ ახასიათებს უღვლილებასა, რომელსაც სრულიად განკერძოვებულივე ფორმადობა აქვს.



ქართულს ენის ბუნებაში სწორედ აქ არის „თავისებრი  
რობა“ \*\*) მისის გრამმატიკისა,—მთავარი ქართული საგრა-  
მმატიკო კანონი არის კანკლედობრივი ცვალებადობა,

\*\*) ჩემს შრომას ვბონებ მიბაძვას ვერავენ უნდა უკივინებდეს,  
ხოლო „სხვათა შორის“ ის სიტყვები, რომელმაც გამოიპყცია „ლინ-  
გვისტიურ სექციიდან“, რომ ვითომ ჩვენ მეტიარ „ვეჭიებდეთ ოალაც  
საკუთარს გრამმატიკასა“, ფუჟად და ჭიანად მიბაჰჩნია, და მაჰბონდება  
დიდებულ გოეთეს სიტყვები:

„Denn eben wo Begriffe fehlen,  
„Da stellt sein Wort zur rechten Zeit sich ein“.

ანუ: სწორედ სადც ცნება არ არის მარად,  
იქ ჰდგება სიტყვა წამსვე მის ბარად.

მიბაძვა ანუ თარგმანება აი სად არის: I. „სიტყვის ნაწილები სულ  
არის ცხრა; მათ შორის ხუთი საცვალეებელია (?) . . —ოთხი უცვალე-  
ბელია, ე. ი. არ იცვლება“ (ქართ. გრამ. ხუნდ. გამოც. II. გვ.  
35 ქუთ. 1907). ბეჯითად არის აქ გამოთქმული ცილისწამება.

„ხოლო დანარჩენნი არ იცვლებიან და ამისთვის იწოდებიან უც-  
ვალეებად“. (გვერ. 47, § 25). შემდეგ: „თუმცა უცვალეებად ითვლებიან,  
მაგრამ ზოგს შემთხვევაში დაიბრუნებიან ხოლმე“. გვერ. 140. ეს არის  
აი,—ასთე, ბატონო, და ისთე! ანუ („ქართ. გრამ. თ. ჟორდ. 1889 წ.)  
„წვიმდა, ბატონო, და არც წვიმდა“.

„საგნების დაყოფა: ა, სულიერი საგანი და ბ, უსულო საგანი“  
(პ. დაწ. ქარ. გრამ. არ. ქუთ. 1907. გვ. 32). მერე რაო, რა საჭი-  
როა ქართულს გრამმატიკაში ასეთი დაყოფა?

„ქართული ენა სქესს (genus) გაარჩევს ბუნებრივად (!) და  
არა გრამატიკულად და „ამისთვის“... და სხვა. (ქართ. გრამ. 1906 წ.  
მ. გ. ჯანაშვილისა).—ბუნებრივად?!.—რა საგრამატიკო ცნება  
არის ეს? მოზვერი, ბუზი, პეველა და ჭია-ლუაც არჩევს სქესსა ალლო  
ადებით. მერე, რაო?

„ჯერ ის მოვიგონოთ, რაც რუსულსა და ფრანკუზული ენების  
სწავლაში ზმნების ტრიალი გვინახავს“-ო. (ახ. გრამ. 1882 წ. დიმ. ყოფ.  
გვერ. 68.)

მიმა ჩემი პარდაპირ ამბობს „ჯერო?“ ხოლო სხვები ჩემად სთარგ-  
მნიან „ქართულ გრამატიკას“ რუსულიდან, ბაჩუმებულან და „ქართულს“  
არქმევენ ნათარგმნსა.

იგი არის ზოგადი „არქიმედოს“ აზარმაცი ქართული სიტყვიერებისა განურჩევლად არსებით-სახელისა, მის ყოფა-მოქმედებისა თუ თვისება-ვითარებისა, ხოლო უღვლილებრივი ცვალებადობა თავის ძირითადებით არის ერთი კერძო შემთხვევა ზმნის კანკლედობრვ ფორმადობისა და ესეც მარტივ ნაცვალ სახელების სამსახურითა: ა-წერა, ი-წერა, ე-წერა ანუ მართლ წერით ა-ჰ-წერი, ი-ჰ-წერ-ა, ე-ჰ-წერ-ა და სხვა.

იმოდნად ზოგადი კანონი არის ეს კანონი, რომ ვჰგონებ არ იპყოს ქართული სიტყვის ნაწილი, არც ძირი სიტყვისა, ხშირად ერთ ბგერად არსებული, მაგ. მ, ვ, და რ, ან, — როგორც გამიგონია ბატონ ილ. ქავკავაძისა-განა, მთელი წინადადებაც, — რომელიც არ მიეჰცემოდეს ბრუნვა-კანკლედობასა და ამასთან მეტად მდიდარს ფორმადობასა.

ამიტომ დაყოფა ქართულ სიტყვის ნაწილებისა ცვალებულ-ცვალებლებად მხოლოდ უაზრო ბაძვა არის, როგორც — „გრამმატიკული სქესის“ ან „შესმენილობითი“ ბრუნვის ძებნა და შემოთრევა ან პოვნა „სულიერი და უსულო საგნებისა.

მაშინ როდესაც ყოველი ქართული სიტყვა — ლექსი ცოცხლად ემსახურება სიტყვიერებასა, ჩვენ „გვინდა“ იძულებულ ვჰყოთ და უცხო ენების ბარობაზედ მკვდარად ვამსახუროთ იგი რომელიმე თავის ენასა. Bien, gut, хорошо, very არ იცვლებიან და მკვდარად ჰმსახურებენ ფრანსიულს, გერმანულს, რუსულს და ინგლისურს ენებში, ხოლო ჩვენი კარგ, — გარგსა, კარგადს, კარგმან, კარგადმან და სხვა — ცოცხალია და ჰბრუნავს ენის მოთხოვნილებისდა-გვარად, შორისდებულის „ვაი-ს ბრუნვისა არ იყოს ან თანდებული“ ზე-სი, რაზედაც შემდეგ წერილში მოგაჰხსენებთ.

ჩვენი გრამმატიკოსები ეძებდნენ და ჰპოვებდნენ ჩვენ სახელ-ზმნის „უღვლილებრივს“ ცვალებადობაში მას, რაც უცხო ენათა ზმნის „განუსაზღვრელ“ ფორმის ცვალებადობაში ენაჰხათ და გაეჰგონათ; ეძებდნენ და ჰპოვებდნენ პირდა-



პირ „უღვლილებასა“ და **კანკლედობრივ**. ძირითადებით თავს არ იჭყუებენ, რადგან ამადარობას ხელი აღარა აქვს ინდო-ევროპიულს ზმნის ცვალებადობაში, ხოლო ქართულში კი მთლად გამეფებული არის.

ამ გვარად დაბნელებული იყო ყოფა-მოქმედებათა სახელების ძირითადები და მთლად ფორმადობა, მაშინ როდესაც ქართულ გრამმატიკის მთავარს თვისებას შეაპდგენს „ზმნის“ ძირითადების და მთლად უღვლილების კანკლედობრივი შთამომავლობა.

რათა ცხად ვაყო აქვე მოკლედ ეს ქეშმარიტება, ეს ერთი დიდად ღირსსაცოდნელი და განსაკუთრებით თვისიერება ჩვენის გრამმატიკისა, მოვიწყვან რაოდენსავე მაგალითს, რომელიც გაგვაპცნობს ჩვენს აზრსა. ავიპლოთ ძირები ნა-მოქმედ-ი სიტყვებიდან, **participium perfecti**: ნა-წერ-ი, ნა-ცემ-ი, ნა-ხევ-ი, ნა-ფენ-ი, ნა-ჭამ-ი, და სხვაც, თუ იპნებებთ, და დავაბრუნოთ იგინი ჩვენ ზოგად სხმის ფორმულობაზედ: **x-a-ა,ი,ე**, რომელშიც **x** არის ძირი „ზმნისა“ და **a** ბრუნვის ნიშანია მარტივად ან ჩვენ სამანძილო ნაცვალსახელების თავისებურ დახმარებითა — **ა,ი,ე** თი.

**კანკლედობრივი ცვალებადობა სახელ-ზმათა.**

წრ. წერ,	ცემ,	ხევ,	ფენ,
ნათ. წერ-ს(ი),	ცემ-ს(ი),	ხევ-ს(ი),	ფენ-ს(ი),
მიც. წერ-ს(ა),	ცემ-ს(ა),	ხევ-ს(ა),	ფენ-ს(ა),
მთხ. (ნა)-წერ-მან,	ცემ-მან,	ხევ-მან,	ფენ-მან,
მოქ. წერ-თ(ა,ი),	ცემ-თ(ა,ი),	ხევ-თ(ა,ი),	ფენ-თ(ა,ი),
განვ. წერ-დ(ა,ი,ე),	ცემ-დ(ა,ი,ე),	ხევ-დ(ა,ი,ე),	ფენ-დ(ა,ი,ე),
წოდ. წერ-ო,	ცემ-ო,	ხევ-ო,	ფენ-ო.

ამ გვარადვე განვითარებითვე ბრუნვის სახიერებისანი არიან:

1, მხოლოდ განვითარებითისანი: **ჭამ-დ(ა,ი,ე), ხევ-დ(ა,ი,ე),**

წვი-დ(ა,ი,ე) წვალთ-დ(ა,ი,ე), (ა)დენ-დ(ა,ი,ე), ეს-  
როლ-დ(ა,ი,ე) ცვლი-დ(ა,ი,ე) წვიმ-დ(ა,ი,ე) წვე-დ(ა,ი,ე)  
და სხვა.

2. წოდება—განვითარებითისანი: ცვი-ო-დ-ა,ი,ე, ტირ-  
ო-დ-ა,ი,ე, მღერო-დ-ა,ი,ე, წერო-დ-ა,ი,ე, ცემო-დ-ა,ი,ე.

3. წოდება—განვითარებით-მიცემითი: მღერ-ო-დ-ე-ს,  
ცემ-ო-დ-ე-ს, ჯერ-ო-დ-ეს და სხვა.

4. წოდება განვითარებით-მოქმედებითი: მღერ-ო-დ-ე-თ,  
ცემ-ო-დ-ე-თ, და სხვა და სხვა.

აქედან ეკვვარეშეა ის ქეშმარიტება, რომ, სხვათაშო-  
რის, განვითარებითი ბრუნვა ჰქმნის ერთს რიგს უღვლილე-  
ბის ძირითადებისას ანუ პირთა, ღროთა და რიცხვთა ურთიერ-  
თობისას, რისთვისაც მსახურებს და რასაც ცხადად აწხასია-  
თებს ჩვენი „დ“-ნი და არა თქვენი თ-ნი.

ახლაც ვიპოვებთ: განა შესაძლებელი არის, რომ  
ბუნებრივმა ქართულმა გრამმატიკამ მისცეს ვისმე ნება,  
თუნდ უმეტესობაც იყოს, განაძიოს ბრმა ახირებითა დ-ნი გან-  
ვითარებით ბრუნვიდან და შეუსამამოდ „შემოილოს“—თით-  
ქო მეცნიერებაში შეიძებოდეს ბრძანებლობა ვისიმე—რაღაც  
-ტკბილხმოვანი“ თ-ნი? „რაიზა“, ძმაო ჯან? რა ჭკუა არის  
კაცმა ბუნებრივი კანონები განზრახ უარჰყოს და ამადარო-  
ბაში თითონვე თავი გაიჯახიროს წუთისოფლად რაღაც  
„მარტივობაში“. ნუ გეწყინებათ, ბატონებო, და ეს ისეთივე  
შეუსაბამო წადილი არის გრამმატიკაში, როგორც ისტორია-  
ში იყო ისა, რომ „გეგუთში“ ვაკურთხეთ ჩვენ, იმერლებმა,  
ალბად „კეთილხმოვანი“ „რუსი“, და ლიხს აქეთ გადმოვა-  
ჩინდრიკეთ და „დავიჯინეთ“: თამარ მეფის მაგიერ, ბატო-  
ნი, უნდა ეს დავჰსვათო!

უნდა გვჭჯეროდეს ჩვენი კლასიკების მართლწერა. იქ მხო-



ლოდ უვიც გადმომწელებს, როგორც თქვენცა ჰბრძანებთ, თუ შეურპყენიათ აქა-იქა ეს ფორმა, თორემ საზოგადოდ იქ უმთავრესად ქართულს ბუნებასა ვჰხედავთ \*).

ამ სამასალო პირველს წერილში მე იმ კანონებზედ კი არ მოვაჰხსენებთ, რომელნიც „ახალ მართლწერის მიმდევართ“ მოუჩინავეთ, არამედ ქართულ ენის იმ კანონებზედ, რომელნიც ბუნებრივად ევოლუციის, დიფერენციაციობის და ფსიხოფონეტიკის ურთიერთობას დაუმკვიდრებია უზომო დროის დინებაში ჩვენდა საძებრად, შესაგნებადა და შესასწავლადა.

ვიდრე ამ წერილს ბოლოს „მოვუღებდე“, ერთს დიდებულს ურთიერთობის სხმასაც მოვათავსებ აქ მოკლედ, ხოლო უფრო ვრცლად შემდეგ იყოს.

**ურთიერთობა კანკლედობასა და უღვლილებასა შორის ქართულ გ<sup>ა</sup> ამმატიკაში.**

(Participium perfecti-ქართული ნა-x-ი, სადაც x არის ძირი ყოფა-მოქმედებისა).

**ა. კანკლედობრივი ურთიერთობა სახელთა**      **ბ. უღვლილებრივი ურთიერთობა ყოფა-მოქმედებათა.**

ნა-წერ-ი,    ნა-ცემ-ი,    ნა-ფენ-ი,

1.	2.	3.	1.	2.	3.
წერ,	ცემ,	ფენ,	ჰ-წერ,	ჰ-ცემ,	ჰ-ფენ,
წერ-ს(ი),	ცემ-ს(ი),	ფენ-ს(ი),	ჰ-წერ-ს,	ჰ ცემ-ს,	ჰ-ფენ-ს,
წერ-ს(ა),	ცემ-ს(ა),	ფენ ს(ა),	ჰ-წერ-ს,	ჰ-ცემ-ს,	ჰ-ფენ-ს,
წერ-მან,	ცემ-მან,	ფენ-მან,	—	—	—

\* ამიტომ მე რომ მცოდნოდა, შოთა რუსთაველის, ორბელიანების, ბარათაშვილს, დ. ტონჯაძის, ჯავჭავაძეებს, აკ. წერეთლის ენის გასწორებას ვინმე „ღეიჯინებდა“, ამიერ და იმიერ ყველას დაუშლიდი ძმურად. გოეტესა და შილლერს ენას კი არ უჰსწორებენ გერმანელები—შეისწავლიან, და თავისი „ერთი“ ენა კარზად იციან.

წერ-თ, ცემ-თ, ფენ-თ(ი,ა), ჰ-წერ-თ(ია), ჰ-ცემ-თ, ჰ-ფენ-თ(ი,ა)  
წერ დ(ი,ა), ცემ-დ(ი,ა), ფენ-დ(ი,ა), ჰ-წერ დ(ი,ა), ჰ-ცემ-დ(ი,ა), ჰ-ფენ-დ(ი,ა)  
წერ-ო, ცემ-ო, ფენ-ო, ჰ-წერ-ო, ჰ-ცემ-ო ჰ-ფენ-ო,  
სხვა შემდეგ იყოს.

უნდა გვაპხსოვდეს, რომ ყოფამოქმედების პირთა, დროთა და რიცხვთა ურთიერთობას ანუ უღველებას ჰქმნიან: 1, ძირი „ზმნისა“ — წერ, ცემ, ხევ, ფენ, 2, ბრუნვის მეხასიათენი—ხ, თ, დ, თ, და ნაცვალ-სახელნი მარტოდ და თვის ურთიერთსშორის შეკავშირებითა,—ა, ი, ე, ვ, მ, აი, ვა, ვი, ვე, მა, მი, მე, ვა, ვი, ვე, გა, გი, გე და სხვა მარტივ თანდებულების წახმარებით.—შ, წ, ჩ, დ.—შა, შე, ჩა, ჩე, წა, წე, მაგრამ აქ შორს წაგვივა ამაღარი ლაპარაკი და შემდეგ იყოს.

მაშასადამე კვალად ვიპტყვი, ღ-ნის უარყოფა განვიოარებით ბრუნვაში და მის მაგიერ „თ“-ის იქ „ჩაკვეება“ სრული უაზრობა არის, ბუნების უებლალვა, უკანონობა და სიმახინჯე. მეცნიერებაში ჯიუტობა უარყოფა არის თითონ მეცნიერებისავე.—



# ეტიმოლოგიური გამოკვლევა.

რას ნიშნავს ქართული სიტყვა „კაცი“?

ლინგვისტიური ანალოგია გვეუბნება, რომ ქართულ სიტყვათა ძირი ხშირად გამოიხატება მხოლოდ ცალი უხმო მარტივ ბგერითა ანუ ერთ წერადი ასოთი.

მაგალითად ასო „მ“-ნი არის იმთავით დაყოლილი კაცობრივი ნიშანი პიროვნებისა, მარტივი ძირი, მატარებელი პიროვნებისი, და ჰფორმადობს უპირველესად მარტივ მაჩვენებელ ნაცვალ-სახელებითა—„ა“, „ი“ და „ე“-ნით, როდესაც გამოჰხატავს ახლოდს პიროვნებასა—მეგრული „მა“, შორადს პიროვნებასა—სვანური „მი“ და განუსაზღვრელს ანუ ზოგადს პიროვნებასა—ქართლული „მე“, და სხვა უარებელი ფორმები ამა ძირისანი. ინდოევროპიულ ენებში: სლოვიანურში: მ(МЪ), მე(МЕ), მო,(МО), და სხვანი, არიანო ნაცვალებადნი ფორმები საგულისხმიერო ძირითადის მა(МА)-სიო, ჰფიქრობენ: მი, მენია, მნე, ბნოიუ და სხვა. ფრანსიულში: მოი (moi), მე(me), მემ(meme), მიენ(mien); ლათინურში: მეი( mei), მიჰი(mihi), მე(me), მი(mi-ჩემო); ლიტვესკურში: მანო(mano), მი( mi), მა(ma), მიე(mie), მანე(mane), მანიმ(manim); გერმანულში: მან(man), მირ(mir), მიჰ(mich), მეინ(mein), მეინემ( meiuem), მეინე(meine), მეინენ(meineu), მეინ( mein), (ueiner), ხი'ომო, l'homme, Man და სხვანი ერთი გვარისანი არიან. ამათი შემომკრები კანკლედობრივი ფორმულა არის—მ-ა, ი ე,



და ჰბრუნავს ქართულში: მ-ა, ი, ე-ს-ი, მ-ა, ი, ე-ს-ა. მ-ა, ი, ე-მ-ან, მ-ა, ი, ე-თ-ი, მ-ა, ი, ე-დ-ა; მ-ა, ი, ე)-ო და სხვა აუარებელი ფორმები, რომელთაც ყველას აწარმოებენ: 1., მარტივი ძირი „მ“, 2. შუამავალნი წარმოებისა მარტივი მაჩვენებელნი უმთავრესად—ა, ი, ე, როგორც ქართულში აგრედვე ინდო-ევროპიულ ენებში და 3, კანკლედობრივი ბრუნვათა მებისათენი—ს, მან, თ, დ და ო.

სიტყვიერებაში ესრედსავე ლინგვისტიურ ანალოგიას მიჰდევენ: ს-(ა, ი, ე)-ე, გ-(ა, ი, ე) რ-(ა, ი, ე): მ-(ა, ი, ე)-წერ (ა, ე), ვ-(ა, ი, ე)-წერ(ე, თ), გ-(ა, ი, ე)-წერ(ა, ე), (მ) წარ-(ა, ი, ე) და სხვა.

მაშასადამე—„მ“, „ვ“, „გ“, „ს“ (გამაფრთხილებელი) და სხვანი არიან ერთეული მარტივი ძირები.

მივჰდიოთ ამ ანალოგიას და ვთქვათ, რომ სიტყვა „კაცი“ აშენებულა მარტივ ძირზედ, რომელიც არის, —კ-(ა, ი, ე), რაიცა უნდა დაგვიმტკიცოს ეტიმოლოგიურმა გამოკვლევამა.

სწორედ დასამტკიცებლად ამა თეორემისა შევჰკრიბოთ ლინგვისტიური მასალა, საიდანაც ცხადად ჰჩანდეს ძიროვანება „კ“-ისა და პირველადი ფორმადობა ანუ ფორმულა—კ-(ა, ი, ე).

ქართული სიტყვები არიან: კა-ცი, კი-სერი, კი-ნკრიხო, კი-ნწერო (თავი), კე-ფა, კო-სრო (თავი), კა-რები (კაცის სარები?), კე-რა (რაც კაცისა?), კე-ხი (ხე კაცისა?), კ-ვანი-ხი (თავი), კო-ფო (თავი ურმისა, კაცის საჯდომი?) კო-ტრი, გა-კო-ტრება (თავმარტოდ დარჩენა), გუ-რიაში—კო-ტორი (კე-ფა), მეგრული: კო-ჩი (კაცი), კო-ქოჭი (კეფა), კო-ქოჭია (წვერო, თავი მთისა), კო-პეშია (კ-ვანი), კი-ვერი (კ-ბილი); კ-ვლა და კი-ლვა (თავის მოკრა) და სხვა.

ინდო-ევროპიული სიტყვები: ლათინური: Ca-put (თავი), Ca-cumen (კინწერო), Ca-duceator (მოთავე) Ca-lvesco (ვებელატდე-



ბი), Ca-nephros (თავ-კალათა), Ca-pito(თავდიდა), Ca-ruificio(თავს ვიჭრი), Ca-rvix (კ-ფეა, კისერი?) Ce-ntavr (ცხენ-კაცა); ბერძნული—Ce-phalus (თავი), გერმანიელი: Ko-pf (თავი), Kö-pfen (თავის მოჭრა); ინგლისური—Ca-bbage, to ki-ll (კ-ვლა), To killone's self (თავის მოკვლა); რუსულში: ka-знить (თავის მოჭრა), ko-чень, ka-пуста (კო-მბოსტო); იტალიური—Ca-po (თავი) და მრავალნი სხვანი; ლიტვესკური: Ka-klas (კისერი) Ka-kti (შუბლი). შეგვეძლო კვალად მრავალი მასალა ამოგვეკრიფა.

შემოკრებულ სიტყვებიდანაც ჰჩანს, რომ მარტივი ძირი იმ სიტყვებისა, რომელნიც გვიჰსახელებენ „თავსა“ და მისს მახლობელ ნაწილების აზრსა, არის „კ“-ნი, როგორც პიროვან ნაცვალსახელთა ფორმების ძირები არიან—მ, ვ. და გ: მა-ს, მი-ს, ვი-თ, ვა-წერ, გა-წერ, გი-წერ, რა-ს, რ-ის, და სხვა და სხ. ჰჩანს, რომ ამ სიტყვებში, რომელნიც გვისახელებენ „თავს“ და მის ნაწილებს, მარტივი ძირი „კ“ ჰფორმადობს უპირველესად მარტივ მაჩვენებელ ნაცვალსახელებითა—ა, ი, ე-ნი-თა, და კიდევ ასო „ო“-ნიით—„კო“ (ეს „ო“-ნი და „კო“ იგივეა, რაც არის „მ“-ანის ფორმადობაში წოდებითი ფორმა—„მო“, ან რო-რ-(ა, ი, ე-ში): კ-(ა, ი, ე)=კო, C-a-i-ქe.

ხოლო ვიდრე ჩვენს მიზანს მივაპწევდეთ და „კაცის“ ლინგვისტიურს შთამომავლობას გავაჰვნებდეთ, საკიროა ერთი ლემმა \*). რომელიც ჩვენ შევიჰვნეთ, მოვიჰხმაროთ აქ ჩვენის მიზნის მისაღწევად.

უკეთუ ქართულ ლექსთა კანკლედობრივ წარმოებაში, და ზოგჯერ კერძოდაც, „თ“-ნი და უფრო ხშირად „დ“-ნი შეჰხვდება „ს“-ნსა, მაშინ „თს“ და „დს“-ი ალავს ხშირად უთმობს „ც“-სა, როგორც ეკვივალენტსა.

- I. ათ-სამმეტი=ა-თს-ამმეტი = „თს“-ამმეტი=ც-ამმეტი.
- II. ხელთ-სახოცი=ხელ-თს-ახოცი=ხელ-ც-ახოცი.

\*) ლემმა ლოგიკაში და მათემატიკაში ჰქვიან იმ ჰეშმარიტებას, რომელიც გარეშედ მტკიცდება, რათა დაეჰხმაროს მთავარს დასამტკიცებელს ჰეშმარიტებასა. მ. ყ.

III. თანდებული „ზე“-ს კანკლედობრივი ზედკეცილი ბრუნვა გვიჩვენებს ასეთსავე „ცვლასა“.

1. ზე, ზე-სი, ზე-სა, ზე-მან, ზე-თი ანუ ზე-ით, **ზე-დ**, ზე-ო; **ზე-დ**, ზე-დ-სი, **ზე-დ-სა**, ზე-დ-მან, ზე-დ-ით, ზე-დ-და, ზე-დ-ო;
3. ზე-დს-ა, ზე-დს-ასი, ზე-დს-ასა, ზე-დს-ამან, ზე-დს-ათი, ზე-დს-ადა, ზე-დს-აო;

აქედან „დს“ და „ც“-ის ერთმეორებით შექმნილა: ზე-დს-ა=ზე-ც-ა; ზე-დს-ა-სი=ზე-ც-ა-სი; ზე-დს-ა-სა=ზე-ც-ა-სა; ზე-დს-ა-მან=ზე-ც-ა-მან; ზე-დს-ა-თი=ზე-ც-ა-თი; ზე-დს-ა-და=ზე-ც-ა-და; ზე-დს-ა-ო=ზე-ც-ა-ო.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ქართული ენაც ამართლებს ძმათა ავგუსტ და ფრიდრიხ შლეგელების თეორიას, ინდო-ევროპიულ ენათაგან გამოკვლეულს, რომ იგი ენები თვის სინტეტივობიდან მიიმართვიან და ბინადრდებიან კიდევაც ანალიტივის მარტივობაში, მეტადრე ინგლისური და სხვანიც მეტნაკლებად.

ზემონაჩვენებ ქართულ ზე-ს კანკლედობრივს ცვალე-ბადობაში საანალიტივო ხასიათობით გამოჰყოფილა სიტყვა „ცა“ რთული სიტყვიდან ზე-დს-ა-საგან „ზე“-ის მოკვეციტ, როგორც ა-თს-ამმ ტი-დან „ც“-ამმეტი „ა“-ნის მოკვეციტ.

რათა არავინ ჩამომართვას ჩემი მოჰაზრება ბრმა შემთხვევად, მოვიპყვან კვალად რამდენსამე მაგალითსა ძმათა შლეგელების ჩვენადცა გამამართლებელს და ქართუ ენის ანალიტივობისას.

კანკლედობრივ ზედკეცილ ბრუნვით „მამა“ ზელი-ზედ იპბრუნვის:

1. მამა, მამა-სი, მამა-სა, მამა-მან, მამა-თი, **მამა-დ**, მამა-ო;
2. მამად, **მამად-სი**, მამად-ს-ა, მამად-მან, მამად-ით, მამად-ად, მამად-ო;



3. მამა-დს-ი, მამა-დს-ის, მამა დს სა, მამა-დს-მან, მამა-დს-ით, მამა-დს-ად, მამა-დს-ო.

აქედან იმავე ეკვივალენტობით შეტქმნილა: მამა-ც-ი, მამა-ც-ის, მამა-ც-სა, მამა-ც-მან, მამა-ც-ით, მამა-ც-ად, მამა-ც-ო.

კიდევ მაგალითი. მე-ხე ანუ მ-ხე, ვთქვათ, ერქვა (და ახრიც ამას გვეუბნება) იმ ცხოველს, რომლის „მე“ ეფარებოდა ხეებს, ტყეს. აქედან:

1. მ-ხე, მ-ხე-სი. მ-ხე-სა, მ-ხე-მან, მ-ხე-თი, მ-ხე-დ, მ-ხე-ო;

2. მ-ხე-დ, მ-ხე-დ-სი. მ-ხე-დ-სა, მ-ხე-დ-მან, მ-ხე-დ-ად, მ-ხე-დ-ო;

3. მხე-დს-ი, მხე-დს-ის, მხე-დს-სა, მხე-დს-მან, მხე-დს-ით, მხე-დს-ად, მხე-დს-ო;

აქედან ჩამომარტივებულა: მხე-ც-ი, მხე-ც-ის, მხე-ც-სა, მხე-ც-მან, მხე-ც-ით, მხე-ც-ად, მხე-ც-ო. კვალადვე: მა დს-ა ე. ი. მედ ანუ ჩემად მამყოფე = მა-ც-ა; მი-დს-ა (ანუ მეორე მეს დაუახლოვა)=მი-ც-ა (მიჰცა); დაი-დს-ა = დაი-ც-ა; მე-დ-ს-ა = მე-ც-ა (მეჰცა); რა-დს-ა = რა-ც-ა; რო-დს-ა = რო-ც-ა; რუსულში ку-д-и-и (უკუდო, კუდ-გარე მყოფი), ლიტვესკური ktudas (უკუდო), ქართული ახსნით კუ-დს-ი = კუ-ც-ი; და სხვა და სხვა ანალიტივობა და ფლექსივობა ჩვენის ენისა.

ზემო მოსაზრებათა შემდეგ მივიღოთ ლინგვისტიკურ ანალოგიით „კ“-ნი მარტივ ძირად სიტყვათა, რომელნიც გვაჰმხელენ „თავს“ ან მისს მახლობელ ნაწილებს, შევეურთოთ ჩვენ მარტივ ახლომანძილადს ნაცვალსახელს „ა“-ნსა და მივიღებთ „კა“-სა. ანალოგიურად სხვა მარტივ ძირებისა ვაცვალებადოთ იგი „კა“ კანკლედობით, როგორც მა, მასი მასა, მამან, მათი, მალათა, მასად და სხვანი.

1. კა, კა სი კა-სა, კა-მან, კა-თი, კა-დ, კა-ო;

2. კა-დ, კა-დს-ი, კა-დს-ა, კად-მან, კად-ით, კად-ად, კად-ო;

5. კა-დს-ი, კა-დს-ის, კა-დს-სა, კა-დს-მან, კა-დს-ით, კა-დს-ად, კა-დს-ო;

აქედან შეჰქმნილა და ისე, რომ სინტეტივი ფორმები დაფიქვებია უბრალო გონებას, და გადმოუცია ჩვენთვის: კა-ც-ი, კა-ც-ის, კა-ც-სა, კა-ც-მან, კა-ც-ით, კა-ც ად, კა-ც-ო.

მაშასადამე დავამტკიცე და დღეს ექვევარეშეა, რომ სამეცნიერო ლინგვისტიური ანალოგია ქართულში გვიჩვენებს შემდეგსა:

1. ქართული ენა ეკუთვნის შლექსიადს ინდო-ევროპიულ ენათა ნათესაობას.

2. სინტეტივ ანუ რთულს სახიერებას ჰცილდება ქართული ენა-მეტყველობა, და მიედინება და ბინადრდება ანალიტივ ანუ მარტივს სახიერებაში.

3. ქართული სიტყვა „კაცი“ არის ინდო-ევროპიულ ენათა გვარეული, რთულ სახიერებიდან გამოსული და მარტივს სახიერებაში შესული, და ატარებს აზრს თავიანობისას ანუ კაცადად მყოფელობისას, რაიცა უნდა დავემტკიცებინა.

4. ე. ი. დამტკიცდა, რომ ქართული სიტყვა „კაცი“ ნიშნავს „თავიანობასა“.

